

პროექტის 30/28 სადემონსტრაციო დღე


2015 წლის 22 აპრილს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXIX გაფართოებული სხდომების ფარგლებში ჩატარდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების 2012 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტის "პრაქტიკაში გავრცელებული რთული გეომეტრიის მქონე კონსტრუქციების მოდელირება და გაანგარიშება" (ხელშეკრულების ნომერი 30/28) სადემონსტრაციო დღე. მას დაეთმო ამ საერთაშორისო ფორუმის უწყვეტ გარემოთა მექანიკის სექციის 22 აპრილის სხდომა, რომელზეც მოსმენილ იქნა მხოლოდ პროექტის შემსრულებელთა მოხსენებები. სადემონსტრაციო დღე გაიხსნა პროექტის ხელმძღვანელის გიორგი ჯაიანის შესავალი სიტყვით, რომელშიც ის შეეხო პროექტის მიზნებს, ამოცანებს და მიღებულ შედეგებს. ამასთან ერთად, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის შედეგებზე დაყრდნობით გამოქვეყნდა 18 სტატია, მათ შორის 11 იმპაქტფაქტორიან და რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში, ხოლო 7 - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სრულ მოხსენებათა კრებულებში. პროექტის შედეგებს მიეძღვნა 39 მოხსენება, მათ შორის 27 მოხსენება საერთაშორისო კონგრესებზე, კონფერენციებსა და სემინარებზე, ხოლო 12 - ადგილობრივ კონფერენციებსა და სემინარებზე. მომზადდა 9 პროგრამული მოდული და პროდუქტი. შესავალი სიტყვის შემდეგ მოსმენილ იქნა პროექტის შემსრულებელთა შემდეგი კონკრეტული მოხსენებები, რომლებშიც გადმოცემული იყო პროექტის ფარგლებში ძირითადად მესამე და მეოთხე ეტაპზე მიღებულ შედეგები : ფენოვანი დრეკადი იზოტროპული სტრუქტურის გათვლის ერთფენოვანი ეკვივალენტური მოდელის აგება და გამოკვლევა (გ. ჯაიანი); ორი ფენოვანი სხეულისაგან, ფირფიტისა და ღეროებისაგან შემდგარი დრეკადი მულტისტრუქტურების იერარქიული მოდელების აგება და გამოკვლევა (გ. ავალიშვილი, მ. ავალიშვილი, დ. გორდეზიანი); პრაქტიკაში გავრცელებული რთული გეომეტრიის მქონე ზოგიერთი კონსტრუქციის გაანგარიშების შესახებ (ნ. ჩინჩალაძე); რთული გეომეტრიის დრეკადი მულტისტრუქტურებისათვის არაწრფივი მოდელური ამოცანების აგება და გამოკვლევა (თ. ვაშაყმაძე); რთული დრეკადი სტრუქტურების გაანგარიშება საინჟინრო მეთოდებით (დ. პატარაია); შემფოთების ალგორითმი არაცხადი სამშრიანი ნახევრადდისკრეტული სქემის რეალიზაციისათვის (ჯ. როგავა); რთული გეომეტრიის მქონე ზოგიერთი მულტისტრუქტურული სხეულისთვის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის ერთი რიცხვითი მეთოდის შესახებ (ა. პაპუკაშვილი).



გ. ჯაიანი (ხელმძღვანელი)



გ. ავალიშვილი (ძირითადი შემსრულებელი)



ნ. ჩინჩალაძე (ძირითადი შემსრულებელი)



თ. ვაშაყმაძე (ძირითადი შემსრულებელი)



დ. პატარაია (ძირითადი შემსრულებელი)



ჯ. როგავა (ძირითადი შემსრულებელი)



ა. პაპუკაშვილი (დამხმარე პერსონალი)